საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კიკნაძე რევაზ ზურაბის ძე

რ. კიკნაძე

კიკნაძე რევაზ ზურაბის ძე (დ. 29. XI. 1960, თბილისი), კომპოზიტორი, შემსრულებელი. 1982 დაამთავრა თსუ კლასიკური ფილოლოგიის სპეციალობით. 1986–90 სწავლობდა თბილ. სახელმწ. კონსერვატორიაში კომპოზიციის ფაკ-ზე (ო. თაქთაქიშვილის და ნ. მამისაშვილის კლასები). ამავე ხანებში უკრავდა საქსოფონზე კონსერვატორიის ჯაზ-კვინტეტში; საქართვ. ტელევიზიის ბიგ-ბენდში; მონაწილეობდა თბილისის, ტალინისა და ვილნიუსის ჯაზ-ფესტივალებში. 1981–90 სწავლობდა კომპოზიციას მ. შუღლიაშვილთან. იყო ანჩისხატის მგალობელთა გუნდის წევრი.

1991–94 ქ. ლიუბეკში (გერმანია) სწავლობდა კომპოზიციას ფ. დოელთან. პარალელურად, 1993-იდან – ელექტრონულ მუსიკას დ. რაითთან. 1992–94 იყო ანსამბლ „Nuova sinansa“-ს წევრი; თანამშრომლობდა იაპონურ-გერმანულ თანამედროვე ბალეტის თეატრთან „Tatoeba–theatre dance grotesque“; 2000- იდან – თანამედროვე საბალეტო დასთან „TanzOrt Nord“. 2000–03 ხელმძღვანელობდა ანსამბლს „Resolution group“. 2011–19 იყო თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი. 2020-იდან არის ილიას სახელმწ. უნ-ტის სრული პროფესორი. მიღებული აქვს არაერთი საერთაშ. პრიზი. ატარებს ლექციებსა და მასტერკლასებს ელექტროაკუსტიკურ მუსიკაში.